გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

მარშალ გელოვანის გამზ.N34
0159 თბილისი, საქართველო
+995 32 237 80 13
+995 32 237 80 44
info@mepa.gov.ge

05 ივლისი 2024

N 5132/01

სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს

თქვენი წერილის (#6/34367 19.06.2024) პასუხად, რომელიც ეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, სოფელ ანაკლიაში მდებარე 10015.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს.კ. 43.30.42.119) ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზების საკითხს. გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი ფართობი საკადასტრო-აზომვითი ნახაზის საფუძველზე არ მდებარეობს დაცული ტერიტორიებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრებში.

ასევე გაცნობებთ, რომ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს წერილის (#21/6545 24.06.2024) თანახმად, წარმოდგენილი ნაკვეთის მიმდებარედ ფიქსირდება მდინარე ენგური სიგრძით 213 კმ; რაც შეეხება მასზე განთავსებულ ტბორს, ის ხელოვნურია და ტოპორუკებზე არ ფიქსირდება. ნაკვეთზე ან მის ნაწილზე შესაძლებელია ვრცელდებოდეს წყლის სახელმწიფო ფონდის მიწისა და წყალდაცვითი ზოლის მოთხოვნები, რომელშიც „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონის (მუხლი 19, 20) და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N440 დადგენილებით დამტკიცებული ”წყალდაცვითი ზოლის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის (მუხლი 2) თანახმად, მყარდება სპეციალური რეჟიმი წყლის რესურსების დაბინძურების, მოლამვისა და დაშრეტისაგან დასაცავად.

„წყლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 და მე-8 მუხლების თანახმად, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული და გამავალი მდინარეები, ტბები, წყალსაცავები, სხვა ბუნებრივი და ხელოვნური ზედაპირული წყალსატევები, აგრეთვე არხების და ტბორების წყლები და ჭაობები წარმოადგენენ საქართველოს წყლის სახელმწიფო ფონდს, ხოლო ამ წყლის ობიექტებით, ჰიდროტექნიკური და სხვა წყალსამეურნეო ნაგებობებით დაკავებული მიწები, აგრეთვე მიწები, რომლებიც გამოყოფილია წყლის ობიექტის წყალდაცვით ზოლად, სანიტარიული დაცვის ზონად და ა.შ. წარმოადგენენ წყლის სახელმწიფო ფონდის მიწას.

„წყლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად წყლის სახელმწიფო ფონდის მიწა გამოიყენება იმ ნაგებობათა მშენებლობისა და ექსპლუატაციისათვის, რომლებიც უზრუნველყოფენ სასმელი, საყოფაცხოვრებო, სამკურნალო, საკურორტო და წყალზე სხვა

საჭირო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო, თევზის მეურნეობის, ენერგეტიკულ, სატრანსპორტო და სხვა საჭიროებას. წყლის სახელმწიფო ფონდის მიწით სარგებლობის წესი განისაზღვრება "წყლის შესახებ" საქართველოს კანონით და საქართველოს მიწის კანონმდებლობით.

„წყლის შესახებ" საქართველოს კანონის (მუხლი 20.) და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის #440 დადგენილებით დამტკიცებული "წყალდაცვითი ზოლის შესახებ" ტექნიკური რეგლამენტის (მუხლი 2.) თანახმად, მდინარეების წყალდაცვითი ზოლის სიგანე აითვლება მდინარის კალაპოტის კიდიდან ორივე მხარეს მეტრებში და 75 კილომეტრზე მეტი სიგრძის მდინარეებისათვის დადგენილია 50 მეტრი. ამავე ტექნიკური რეგლამენტის (მუხლი 2.) თანახმად, იმ ტბებისა და წყალსაცავებისათვის, რომლებიც არ გამოიყენება სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგებისათვის, წყალდაცვითი ზოლის სიგანე განისაზღვრება: ა) წყლის მაქსიმალური ზვირთცემისას წყლით დაფარული შესაბამისი სანაპირო ხაზის კიდიდან 300 მეტრით, გარდა ამ მუხლის «ბ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა. ბ) სარეკრეაციო-გამაჯანსაღებელი ობიექტებისათვის, წყლის მაქსიმალური ზვირთცემისას წყლით დაფარული შესაბამისი სანაპირო ხაზის კიდიდან არანაკლებ 30 მეტრით.

წყალდაცვით ზოლში მოხვედრილ მიწის ნაკვეთზე დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული „წყლის შესახებ" საქართველოს კანონით (მუხლი 20. პ.4) და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N440 დადგენილებით დამტკიცებული "წყალდაცვითი ზოლის შესახებ" ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული წყალდაცვითი ზოლის გავრცელების პირობები, დადგენილი აკრძალვები და სპეციალური მოთხოვნები.

თენგიზ ნასარიძე

მინისტრის მოადგილე

https://edocument.ge/mea/public/#/5132-01-2-202407051300

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE